



23/07/2019

ქ. თბილისი

ბრძანება №416/19

მობილობისათვის ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის მართვის დებულებით (მუხლი 2) პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პრეზიდენტ მანანა სანაძის მიერ გაცემული მინდობილობის N 170412575 ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 31/19 ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მობილობისათვის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი წესით:

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)	ადგილი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
ჟურნალისტიკა	4	3200
სტრატეგიული მეცნიერებები	3	2990
ფსიქოლოგია	3	2990
საერთაშორისო ურთიერთობები	4	3200
ინგლისური ფილოლოგია	3	2500
სამართალმცოდნეობა	4	2250
ქართული ფილოლოგია	3	2250
არქიტექტურა და დიზაინი	10	2990
ტურიზმი	5	2990
ისტორია	3	2250
საჯარო მმართველობა	5	2990
ბიზნესის ადმინისტრირება	7	3500
ბიზნესის ადმინისტრირების	1	4000 აშშ დოლარი

ინგლისურენოვანი პროგრამა		ექვივალენტი ლარში
ჯანდაცვის ადმინისტრირება	1	4000
ეკონომიკა	5	2500
ინფორმატიკა	3	3500
ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია	2	2500
საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისთვის	3	3500 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში
ფარმაციის ინგლისურენოვანი პროგრამა (მხოლოდ საერთაშორისო სტუდენტები)	5	4500 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში
აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)	ადგილი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
ინგლისური ფილოლოგია	3	3000
საქართველოს ისტორია	2	3000
ქართული ფილოლოგია	2	3000
სამართალი (სავალდებულოა ბაკალავრის დიპლომი სამართლის მიმართულებით)	4	3000
საჯარო მმართველობა	2	3000
ბიზნესის ადმინისტრირება	2	3000
ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა	1	4000 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში
საერთაშორისო ბიზნეს სამართალი (სავალდებულოა ბაკალავრის დიპლომი სამართლის მიმართულებით)	4	4000 ლარი საქართველოს მოქალაქეთათვის/ 4000 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში უცხოელებისათვის
ერთსაფეხურიანი სწავლება	ადგილი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამა	5	5500 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში
აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური (დოქტორანტურა)	ადგილი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
ისტორია	1	3000

- ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილების ზღვრული ოდენობის ფარგლებში შესაძლებელია ცალკეულ პროგრამებზე/აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებზე ადგილების რაოდენობის ცვლილება, სტუდენტთა რეგისტრაციების გათვალისწინებით.
- საბაკალავრო პროგრამებზე მობილობის მსურველმა სტუდენტმა 2019 წლის 27 აგვისტოდან 2019 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტს და განცხადებას თან დაურთოს შემდეგი საბუთები:
 - ნოტარიულად დამოწმებული სკოლის ატესტატი, ასლი და ელექტრონული ვერსია; მოცემული; (JPJ ფორმატით);

- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის ასლი და ელექტრონული ვერსია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (JPI ფორმატით);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული; (JPI ფორმატით);
- 1 ნაბეჭდი ფოტოსურათი (3X4) და ელექტრონული ვერსია; (JPI ფორმატით);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული (ვაჟების შემთხვევაში);(JPI ფორმატით);
- ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან; (ელ. ვერსიაც).(JPI ფორმატით);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შიდა მობილობის / შეწყვეტის ბრძანებიდან; (ელ. ვერსიაც).(JPI ფორმატით);
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), ასევე ელექტრონული ვერსიაც (JPI ფორმატით);
- გავლილი საგნების სილაბუსების ან თითოეული საგნის მოკლე აღწერის (ანოტაცია) ელექტრონული ვერსია (JPI ფორმატით);

4. სამაგისტრო პროგრამებზე მობილობის მსურველმა 2019 წლის 27 აგვისტოდან 2019 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტს და განცხადებას თან დაურთოს შემდეგი საბუთები:

- ნოტარიულად დამოწმებული ბაკალავრის დიპლომის ასლი და ელექტრონული ვერსია. (JPI ფორმატით);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული; (JPI ფორმატით);
- 1 ნაბეჭდი ფოტოსურათი (3X4) და ელექტრონული ვერსია; (JPI ფორმატით);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული (ვაჟების შემთხვევაში); (JPI ფორმატით);
- ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;(ელ. ვერსიაც). (JPI ფორმატით);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების /შიდა მობილობის / შეწყვეტის ბრძანებიდან;(ელ. ვერსიაც). (JPI ფორმატით);
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი)ფურცელი), როგორც ასლი, ასევე ელექტრონული ვერსიაც (JPI ფორმატით);
- გავლილი საგნების სილაბუსების ან თითოეული საგნის მოკლე აღწერის (ანოტაცია) ელექტრონული ვერსია (JPI ფორმატით);

5. სადოქტორო პროგრამებზე მობილობის მსურველმა 2019 წლის 27 აგვისტოდან 2019 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტს და განცხადებას თან დაურთოს შემდეგი საბუთები:

- ნოტარიულად დამოწმებული მაგისტრის დიპლომის ასლი და ელექტრონული ვერსია. (JPI ფორმატით);
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული; (JPI ფორმატით);
 - 1 ნაბეჭდი ფოტოსურათი (3X4) და ელექტრონული ვერსია;(JPI ფორმატით);
 - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული (ვაჟების შემთხვევაში);(JPI ფორმატით);
 - ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;(ელ. ვერსიაც).(JPI ფორმატით);
 - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების /შიდა მობილობის / შეწყვეტის ბრძანებიდან;(ელ. ვერსიაც).(JPI ფორმატით);
 - სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი)ფურცელი), როგორც ასლი, ასევე ელექტრონული ვერსიაც((JPI ფორმატით);
 - გავლილი საგნების სილაბუსების ან თითოეული საგნის მოკლე აღწერის (ანოტაცია) ელექტრონული ვერსია (JPI ფორმატით);
6. საერთაშორისო ბიზნეს სამართლის პროგრამაზე მობილობით გადმომსვლელთათვის განისაზღვრება შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:
- ვალდებულია ჩააბაროს ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაზე სპეციალობაში. გასაუბრების საკითხები და ძირითადი პრინციპებია:
 - ა) საერთაშორისო სამართალში;
 - ბ) საკორპორაციო სამართალში;
 - გ) სახელშეკრულებო სამართალში.
 - საერთაშორისო ბიზნეს სამართლის პროგრამაზე ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური დონეა- B2, რაც განისაზღვრება:
 - ან ა) საუნივერსიტეტო გამოცდით, მინიმუმ 70%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში
 - ან ბ) საერთაშორისოდ აღიარებული ენის გამოცდების (IELTS, TOEFL ან Cambridge English Exam-ის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით (ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი ქულაა IELTS - 5.5-6.5; TOEFL 87-109 IBT, Cambridge English Exam -160-179);
 - ან გ) ბაკალავრატში ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
7. საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამასა და სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე (ქართულენოვანი) მობილობით გადმომსვლელთათვის შესაძლებელია დაფინანსების მოპოვება:
- ა) სამართლის სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი) – 3 ადგილი.
 - ბ) საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) – 3 ადგილი.
- სწავლის საფასური სრულად დაუფინანსდება იმ სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას:
 - 1) მას, 2017-2019 წლებში აღებული აქვს ინგლისური ენის ერთ-ერთი გამოცდის სერტიფიკატი, მითითებული ქულებით:
 - ა) TOEFL - 85 და მეტი ქულა;

- ბ) IELTS - 6 და მეტი ქულა;
- გ) Cambridge English Exam - 170 და მეტი ქულა;

2) სპეციალობის გასაუბრებაში დააგროვებს მაქსიმუმ 100-დან მინიმუმ 75 ქულას.

3) კონკურსის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება სპეციალობის გასაუბრების უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატის სასარგებლოდ.

- 8. სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილ იქნას CD-ზე.
- 9. აღიარებული კრედიტების გასაცნობად სტუდენტი უნდა გამოცხადდეს 13 სექტემბერს 15:00 საათზე;
- 10. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების მიზნით კრედიტების აღიარების კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს ჩაბარებული კომპონენტების სილაბუსების წარმოდგენა ან/და გამოცდის ჩაბარება.
- 11. საქართველოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.
- 12. დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს უმოკლეს ვადაში აცნობოს დაინტერესებულ პირებს ამ ბრძანების გამოცემის შესახებ (თ. ლავგილავა).
- 13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

პრეზიდენტი

გიული ალასანია

რექტორი

კონსტანტინე თოფურია